საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის

ა ქ ტ ი

№ 30/00 „ 18 " ივლ 2010 ქ. თბილისი

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"
საერთო დანიშნულების სახელმწიფო
მომსახურების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი
გიორგი ჯერენაშვილი

„18 ივლ" 2010 წელი

ეგზ.N2

ობიექტი: ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში
სახელმწიფო მინისტის აპარატის ბიუჯეტის შესრულების
ფინანსური (კამერალური) აუდიტი
პერიოდი: 01/01/09-01/01/10

თბილისი, 0144, ქეთევან წამებულის გამზ. 96
ტელ: +(995 32) 438-438; ფაქსი: +(995 32) 438-136; www.control.ge

15

საქართველოს კონტროლის პალატა

www.control.ge

ბიუჯეტის შესრულების ფინანსური(კამერალური) აუდიტის აქტი

ობიექტი: ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტის აპარატის ბიუჯეტის შესრულების ფინანსური (კამერალური) აუდიტი

პერიოდი: 01/01/09-01/01/10

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი

აპრილი, 2010

შინაარსი / საძიებელი

ნაწილი I. შესავალი	გვ. 2
ნაწილი II. აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები	გვ. 3
ნაწილი III. ძირითადი ტექსტი	გვ. 4
1. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა:	გვ.4
1.1 წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების შეტანის, აგრეთვე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების მდგომარეობა და კანონიერება;	გვ.4
1.2 დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით;	გვ.4
1.3 საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობა;	გვ.5
2. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება (ზრდა/კლება):	გვ.6
2.1 არაფინანსური აქტივების ცვლილება;	გვ.6
2.2 დებიტორ-კრედიტორების ცვლილება.	გვ.6
ნაწილი IV. აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი.	გვ.7
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	გვ.7
აუდიტის ობიექტის პასუხისმგებელი პირები. დანართი	A
გამოყენებული კანონმდებლობა და ნორმატიული აქტები. დანართი	B

I. შესავალი

ბიუჯეტის შესრულების ფინანსური (კამერალური) აუდიტის საფუძველი - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 10 მარტის ბრძანება №42/43

აუდიტის ობიექტი - ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტის აპარატის (ორგანიზაციული კოდი 1100). იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, 0134, ინგოროყვას ქუჩა №7 ტელ: 93-28-67 ფაქსი: 93-27-22

აუდიტის ჯგუფი - უფროსი აუდიტორი თამაზ გურგენიძე (ჯგუფის ხელმძღვანელი); აუდიტორი - გიორგი მშვილდაძე.

სააუდიტო პერიოდი - 2009 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 იანვრამდე.

აუდიტის ვადა - 10/03/2010 – 10/04/2010 (დაწყება-დამთავრება)

შემოკლებანი:

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტის აპარატი: სახელმწიფო მინისტის აპარატი

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო- ფინანსთა სამინისტრო

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური-სახაზინო სამსახური.

საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

საქართველოს კონსტიტუციით, კანონებით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებით, მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით მინიჭებული უფლებამოსილების, აგრეთვე თავისი კომპეტენციის ფარგლებში ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის (შემდგომში - სახელმწიფო მინისტრი) საქმიანობის განხორციელების მიზნით აპარატი:

- უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობის, სამინისტროებისა და სხვა სახელმწიფო სტრუქტურების ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესებში აქტიური და ეფექტიანი მონაწილეობის მიზნით სტრატეგიული სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების კოორდინაციას, მისი შესრულების მონიტორინგს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროსთან ერთად;

• უზრუნველყოფს საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების განხორციელების კოორდინაციას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად;

• თანამშრომლობს ევროკავშირის ინსტიტუტებთან (ევროკომისია, ევროპის საბჭო, ევროპარლამენტი და სხვ.) და საქართველოში ევროკავშირისა და ნატოს წევრ და კანდიდატ სახელმწიფოთა დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში;

• მონაწილეობს საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის საბჭოს, კომიტეტისა და ქვეკომიტეტის, აგრეთვე საპარლამენტთაშორისო თანამშრომლობის კომიტეტის მუშაობაში;

• უზრუნველყოფს რეგულარულ და პირდაპირ კონტაქტებს ევროგაერთიანებებთან და ნატოსთან საქართველოს მისიებთან, აგრეთვე თანამშრომლობს ევროკავშირისა და ნატოს წევრ და წევრობის კანდიდატ სახელმწიფოებში საქართველოს საელჩოებთან ანალიტიკური და მიმდინარე ინფორმაციის ოპერატიულად გაცვლის მიზნით;

• კოორდინაციას უწევს სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობას ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროსთან ერთად;

• ახორციელებს ევროკავშირთან და ნატოსთან ურთი-ერთობის საკითხებში სახელმწიფო და სამთავრობო საბჭოებისა და კომისიების სამდივნოს ფუნქციებს;

• შეიმუშავებს წინადადებებს ეროვნული კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიზნით;

• შეიმუშავებს წინადადებებსა და რეკომენდაციებს საქართველოს საერთაშორისო სამართლებრივი ხელშეკრულებების პროექტების შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის წარსადგენად;

• ევროპული მეზობლობისა და პარტნიორობის ინსტრუმენტის (ENPI) ახალი პროგრამების TWINNING-ის, TAIEX-ისა და SIGMA-ს განხორციელების პროცესში ასრულებს აღნიშნული პროგრამების ადმინისტრირების ოფისის (PAO Project Administration Office) ფუნქციებს და ამ მიმართულებით თანამშრომლობს დარგობრივ უწყებებსა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციასთან;

• ევროკავშირის პროგრამებისა და პროექტების განხორციელების პროცესში, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ზოგად მეთვალყურეობას უწევს შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებას და ასევე პროექტების განხორციელებას. უზრუნველყოფს დარგობრივი უწყებებისათვის ინფორმაციისა და რეკომენდაციების მიწოდებას დახმარებათა ახალი ინსტრუმენტების შესახებ და მათთვის პრაქტიკული დახმარების აღმოჩენას პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპზე;

• საქართველოში ევროკავშირის დახმარების პროგრამებისა და პროექტების განხორციელების პროცესში ასრულებს ეროვნული საკოორდინაციო სამსახურის ფუნქციებს; ევროკომისიასთან ერთად უზრუნველყოფს ევროკავშირის დახმარების ეროვნული ინ-დიკატორული და ყოველწლიური სამოქმედო პროგრამების მომზადებას, შესაბამის სამინისტროებთან შეთანხმებასა და საფინანსო შეთანხმებათა ხელმოწერას. უზრუნველყოფს ევროკავშირის დახმარების პრიორიტეტების შესაბამის სამინისტროებთან და ევროკო-მისიასთან შეთანხმებისა და მათი განხორციელების პროცესში ევროკომისიის წინაშე აღებულ ვალდებულებათა შესრულების საერთო კოორდინაციას;".

II. აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები

საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის ფარგლებში, სახელმწიფო მინისტის აპარატის ბიუჯეტის წარდგენისა და დამტკიცების მდგომარეობა განხორციელებულია არსებული კანონმდებლობის სრული დაცვით.

გამოყოფილ ასიგნებებში განხორციელდა 5 ცვლილება, საერთაშრისო კონფერენცია „საქართველოს ევროპული გზა - ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელება"-ს და აპარატის ნორმალურად ფუნქციონირებისა და დაგეგმილი მივლინებებისათვის გამოყოფილია სულ 272.7 ათასი ლარის ოდენობით.

სახელმწიფო მინისტის აპარატს 2009 წლის განმავლობაში დებიტორული და კრედიტორული დავალიანება არ ერიცხება.

აპარატს I კვარტლის ფინანსური ანგარიშგება სახაზინო სამსახურისათვის უნდა წარედგინა 2009 წლის 10 აპრილამდე, რაც არ განხორციელებულა, რითაც დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის № 364 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ" 2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის მოთხოვნა.

III. ძირითადი ტექსტი.

1. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა:
1.1 აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებები და შეფასება:

ა) დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით;

2009 წლის წლიური ასიგნებების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 1121.3 ათას ლარს. ხოლო დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1394 ათასი ლარი. შედეგად წლიური გეგმა გაიზარდა 272.7 ათასი ლარის ოდენობით. რაც გამოწვეულია საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხების ხარჯზე:

2009 წლის ასიგნებების დამტკიცებული და დაზუსტებული კლასიფიკაციის მიხედვით მუხლობრივმა გადანაწილებამ მიიღო შემდეგი სახე:

/ათას ლარში/

მუხლის დასახელება	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	ვალდებულება	მოთხოვნა	საკასო ხარჯი	ფაქტიური ხარჯი	სხვაობა ფაქტიურსა და საკასო ხარჯებს შორის
მთლიანი ასიგნება	1121.3	1394.0	1392.5	1382.6	1382.6	1382.6	0.0
მათ შორის							
შრომის ანაზღაურება	636.0	636.0	636.0	627.0	627.0	627.0	0.0
თანამდებობრივი სარგო		636.0	636.0	627.9	627.9	627.9	0.0
პრემია			0	0	0	0	0.0
საქონელი და მომსახურება	485.3	758.0	756.5	754.6	754.6	754.6	0.0
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება			8.2	8.2	8.2	8.2	0.0
მივლინებები			396.0	396.0	396.0	396.0	0.0
ოფისის ხარჯები			138.7	138.7	138.7	138.7	0.0
წარმომადგენლობითი ხარჯები			164.8	164.8	164.8	164.8	0.0
ტრანსპ. და ტექნიკის ექსპლუატაციის ხარჯები			44.3	44.3	44.3	44.3	0.0
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება			4.5	4.5	4.5	4.5	0.0
არაფინანსური აქტივები	9.0	9.0	8.9	8.9	8.9	8.9	-
მანქანა დანადგარები	9.0	9.0	8.9	8.9	8.9	8.9	-

ბ) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობა;

/ათასი ლარი/

№	მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის მიზანი	თანხის გამოყოფის საფუძველი	გამოყოფილი თანხა	საკასო ხარჯი	ფაქტობრივი ხარჯი
1.	2009 წლის 9-10 თებერვალს ქ. თბილისში რიგით მე-4 საერთაშორისო კონფერენციის ,,საქართველოს ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელება" ჩატარების ხარჯების დასაფინანსებლად.	საქართველოს მთავრობის განკარგულება №39 30-01-09	54.5	54.5	54.5
2.	2009 წლის 3-4 ივლისს ქ.ბათუმში რიგით მე-5 საერთაშორისო კონფერენციის ,,საქართველოს ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელება" ჩატარების ხარჯების დასაფინანსებლად.,,	საქართველოს მთავრობის განკარგულება №427 10-06-09	78.2	78.2	78.2
3.	აპარატის ფუნქციონირებისათვის და დაგეგმილი მივლინებების ხარჯების დასაფინანსებლად.	საქართველოს მთავრობის განკარგულება №761 22-10-09	40.0	40.0	40.0
4.	აპარატის წლის ბოლომდე ფუნქციონირებისათვის.	საქართველოს მთავრობის განკარგულება №847 11-11-09	40.0	40.0	40.0
5.	აპარატის ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დასაფინანსებლად.	საქართველოს პრემიერ მინისტრის ბრძანება №343 04-12-09	60.0	60.0	60.0

თანამდებობრივი სარგოს, პრემიის, საკომუნიკაციო ხარჯის და ავტომობილების ექსპლუატაციის საშუალო ხარჯი ერთ ერთეულზე თვეში:

/ათას ლარში/

ხარჯი	ერთეული	ხარჯი 2009 წლის განმავლობაში	საშუალო ხარჯი თვეში ერთ ერთეულზე
თანამდებობრივი სარგო	33	627.9	1.58
პრემია	33	0	0
საკომუნიკაციო ხარჯი	33	91.8	0.23
ავტოტრანსპორტის საწვავის ხარჯი	2	12.9	0.53
ტექმომსახურება	2	4.6	0.2

2. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება:

2.1 აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებები და შეფასება:

ა) არაფინანსური აქტივების ცვლილება;

2009 წელს სახელმწიფო მინისტრის აპარატს „არაფინანსური აქტივების ზრდის" მუხლით გეგმით დამტკიცებული ჰქონდა 9.0 ათასი ლარი. როგორც ვალდებულება ისე საკასო ხარჯმა 8.9 ათასი ლარი შეადგინა, ანუ 0.1 ათასი ლარით ნაკლები. მათ შორის შეძენილი იქნა ლეპტოპი, კომპიუტერი, მობილური ტელეფონი და კონდიციონერი.

ბ) დებიტორ-კრედიტორების ცვლილება.

ორგანიზაციას 2009 წლის მდგომარეობით დებიტორული და კრედიტორული დავალიანება არ ერიცხება.

2009 წლის I კვარტლის და ექვსი თვის ფინანსური ანგარიშება შედგენილი და წარდგენილია 2009 წლის 23 ივლისს. ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის № 364 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ" მოთხოვნის შესაბამისად I კვარტალი უნდა წარედგინა 2009 წლის 10 მაისამდე, რაც არ განხორციელებულა.

დარღვეულია: საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის № 364 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ" 2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის მოთხოვნა.

IV აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი.

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გაქვთ უფლებამოსილება აუდიტის აქტი მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში გაასაჩივროთ მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატის დავების განმხილველ საბჭოში, ქ. თბილისი ქეთევან წამებულის გამზირი N96.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უფროსი აუდიტორი თამაზ გურგენიძე	ხელმოწერა/თარიღი 18.05.10 წ.
აუდიტორი გიორგი მშვილდაძე	18.05.10

დანართი A

აუდიტის ობიექტის პასუხისმგებელი პირები:

გიორგი ბარამიძე - სახელმწიფო მინისტრი

ილია მაღალაშვილი - ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტის მოადგილე

მარინა არაბული - მთავარი ბუღალტერი.

დანართი B

გამოყენებული კანონმდლობა და ნორმატიული აქტები

საქართველოს კანონი „ საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ";
საქართველოს კანონი „ საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ";
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 28 ივნისის N437 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესი";
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 12 თებერვლის N129 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესი";
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 19 სექტემბრის N1064 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია"
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ";
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანება „სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ".